ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა.

ოდიში

1990
სამშაბათი
28
აგვისტო
№103 (10340)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

სკკ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიფიცნენ მილიციელები...

გაფიცვები, შიმშილობა და სხვა საპროტესტო აქციები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ იგი ახლა არ ავის არ უკვირს. მაგრამ როცა წესრიგის დამცველებმა ფორმა გაიხადეს და კატეგორიული უარი განაცხადეს სამუშაოდ გამოსვლაზე, ზუგდიდელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. იშვიათად თუ ნახავ ადამიანს, რომელიც გაჭირვების ყამს ხაშ. ველად მილიციას არ უხმობდეს. ამჟამად კი ჩვენი მილიცია ითხოვს შველას, საზოგადოებრიობის თანადგომას და მხარდაჭერას.

გაიფიცნენ მილიციელები, მაგრამ მიზეზი?

23 აგვისტოს ქალაქის ცენტრში დაიკავეს ადრე რამდენიმეჯერ ნასამართლევი პირები, რომლებიც ებეგმიტანილნი იყვნენ ნარკოტიკული ნივთიერების ხმარებაში. წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად ისინი მოიყვანეს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში.

სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ოთხივე პირი იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ. ამ ფაქტის შემდეგ ქალაქ. ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო მილიციის წინააღმდეგ მიმართული არასანქცირებული მიტინგი, სადაც იყო პირდაპირი მუქარა, რომ თუ დაკავებულთ არ გაანთავისუფლებდნენ თავს დაესხმოდნენ მილიციის განყოფილებას და გაიმეორებდნენ ფოთის ვარიანტს. ამის რეალური საფრთხეც არსებობდა.

მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკები იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და გაეთავისუფლებინათ დაკავებულნი. ანალოგიური ფაქტები ადრეც მომხდარა, ხელისუფლების ზოგიერთი ორგანოს ჩარევით კანონიერ სასჯელს გაექცნენ დამნაშავენი. ამიტომაც შინაგ. ან საქმეთა საქალაქო განყოფილების შემადგენლობამ 24 აგვისტოდან გამაფრთხილებელი გაფიცვა გამოაცხადა. საგაფიცვო კომიტეტის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილება მთლიანად გაიფიცება და მოიცავს ყველა სამსახურს 5 სექტემბრიდან შემდეგ.

მართალია მილიციის მუშაკები გაფიცულნი არიან, მაგრამ მათ კარგად ესმით რის ნიშნავს სახელმწიფო ბანკის, მუზეუმის და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის საქმე. საგაფიცვო კომიტეტის (მის შემადგენლობაში 82 კაცია გაერთიანებული) გადაწყვეტილებით შეიქმნა ოპერატიული ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ნძიმე დანაშაულებათა რეგირებაში. გაძლიერებულ დაცვასა და კონტროლს დაქვემდებარებულია სახელმწიფო ბანკები, მუზეუმი და შემნახველი ბანკი.

გაფიცვა გრძელდება.

25 აგვისტოს საგაფიცვო კომიტეტმა წერილი გაუგზავნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. გ. გუმბარიძეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ჭითანავას, საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს ვ. ა. რაზმაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ა. ა. კარანაძეს, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ვ. ა. შარაშენიძეს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს შ. ე. გორგოძეს, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის მოთხოვნები, რასაც ისინი ზემდგომი ინსტანციების წინაშე აყენებენ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ წერილის სრულ ტექსტს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
ამხ. გ. გ. გუმბარიძეს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს
ამხ. ნ. ა. ჭითანავას

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს
ამხ. ვ. ა. რაზმაძეს

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარეს
ამხ. ა. ა. კარანაძეს

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს
ამხ. ვ. ა. შარაშენიძეს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ამხ. შ. ე. გორგოძეს

საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე მიმდინარე პერიოდში ზუგდიდში და საერთოდ, საქართველოში შექმნილია ურთულესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, რაც გამოიხატება დაუსჯელობის ატმოსფეროს შექმნით.

ეროვნულ მოძრაობას ამოეფარა ზოგიერთი დეგრადირებული დამნაშავე ელემენტი, რომელიც ცდილობს სამართალდამცავი ორგანოების პარალიზირებას, რის შედეგად მშრომელი საზოგადოება რჩება დაუცველი.

ჩვენ კაღიარებთ, რომ სამართალდამცავ ორგანოებს თავისი მუშაობის პერიოდში ჰქონდა და ამჟამადაც გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანებები, რაც გამოწვეულია ზოგიერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ სამართალდამცავი ორგანოები გააჩნია ყველა საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციას, რომელიც იცავს ამ საზოგადოებრივ ფორმაციაში მოქმედ კანონებს, ხოლო ჩვენს პირობებში დაშვებული შეცდომები კანონის გატარებაში გამოწვეულია იმით, რომ იგი ემსახურებოდა არა საზოგადოების ინტერესებს, არამედ კლასების ინტერესებს, ცენტრის ინტერესებს, რისი მაგალითიცაა რუსეთიდან პირდაპირ გადმოწერილი მთელი რიგი კანონები, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან კანონები მთლიანად საკავშიროსთან არის ნიველირებული და არ შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს, ამის ერთერთ ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს დადგენილება „ალკოჰოლიზმის წინააღმეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ", ასეთი და სხვა მსგავსი დადგენილებები და კანონები საზოგადოების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა და იწვევს.

რაც შეეხება ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე, მთლიანად რესპუბლიკის შს ორგანოები და ასევე ჩვენი განყოფილება იდგა ქართველ ხალხთან, დადგება და იბრძოლებს მათთან ერთად საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიღწევამდე, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული განვახორციელოთ, პირველ ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია და კატეგორიულად მოვითხოვთ:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გარდაიქმნას ეროვნულ მილიციად და გამოეცვალოს ფორმა, შემუშავდეს დებულება მილიციის უფლებების, მოვალეობისა და სოციალური დაცვის შესახებ.

2. გამოყვანილ იქნას შინაგან საქმეთა ორგანოები ორმაგი დაქვემდებარებიდან.

3. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოთა დეპოლიტიზაციას.

4. კანონპროექტთა შემუშავებაში იურისტ-თეორეტიკოსებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ პრაქტიკული გამოცდილების მქონე მუშაკებმა და გათვალისწინებულ იქნას მათი აზრი კანონთა მიღების დროს.

5. დაუბრუნდეს შინაგან საქმეთა ორგანოებს ტაბელური იარაღები, ტყვიამფრქვევები და ავტომატები, რომელიც ცენტრის დიქტატით, უნდობლობის მოტივით ამოღებულ იქნა შინაგან საქმეთა განყოფილებებიდან.

6. სახამართლოსა და პროკურატურის მუშაობის მანკიერი პრაქტიკიდან ამოღებულ იქნას მილიციის მუშაკების ჩვენების შეუფასებლობა და იგნორირება.

7. მიეცეს უფლება შინაგან საქმეთა განყოფილებათა უფროსებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობისა და შესაბამის დარგობრივ სამსახურებთან შეთანხმების გარეშე დანიშნონ ყველა დონის თანამშრომელი მოადგილეებამდე.

8. გაუქმდეს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შემდეგი ქმედობისათვის: სოფლის მეურნეობის პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა, თვითნებური მშენებლობა, საშენი მასალების უკანონო შეძენა, შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადება, აკრძალული რეწვა, რომელთა პრაქტიკულმა რეალიზაციამ მშრომელი ხალხი დაუპირისპირა მილიციას. ასევე რეალიზებულ იქნას და აუნაზღაურდეს მატერიალურად მიყენებული ზარალი ყველა იმ პირს, რომლებიც გასამართლებულნი არიან ასეთი „დანაშაულისათვის".

9. ფოთის, სენაკის, ბაღდადის, ჭიათურის, ადიგენის, ენგურჰესის, წალენჯიხის და ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილებებზე თავდასხმებისა, დარბევისა და თანამშრომელთა საცოცხლის ხელყოფის ფაქტებზე კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.

10. საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების, რესპუბლიკის პროკურორის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა მინისტრის, იუსტიციის მინისტრის დაუყოვნებლივ ჩამოსვლას ქ. ზუგდიდში და შინაგან საქმეთა ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლებთან შეხვედრას.

11. შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო განყოფილების თანამშრომელთა მოთხოვნა გამოქვეყნდეს რესპუბლიკის ცენტრალურ პრესაში და გადაიცეს საქართველოს ტელევიზიით.

12. აღნიშნული მოთხოვნებ დაკმაყოფილებულ იქნას მიმდინარე წლის 5 სექტემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში შინაგან საქმეთა ზუგდიდის განყოფილება შეწყვეტს ფუნქციონირებას.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნება რაიმე სახის ზემოქმედება, ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილების მთელი კოლექტივი მიმართავს ტაიდურეს ზომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმო: საბაზრო ურთიერთობა მკაცრად გამოგვცდის

რეალური გერკეტეგის ძიებით

ადგილმრეწველობის ზუგდიდის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ახლანდელ ეტაპზე სხვა საწარმოების დარად განიცდის იმავე ხასიათის სიძნელეებს, რაც საერთოდ დამახასიათებელია მიმდინარე გარდამტეხი მომენტისათვის. ამ სირთულეებზე და კოლექტივის წინაშე მდგარ ამოცანებზე ...ი, რა გვითხრა გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ივლონ გეგიამ.

— უპირველეს ყოვლისა, რას გვეტყვით მიმდინარე წლის შვიდი თვის მონაცემებზე, რამეთუ მათ ჭრილში უფრო ხელშესახებად იკვეთება თქვენი საქმიანობის შუქჩრდილები?

— უნდა ითქვას, რომ ამ წელს კოლექტივმა რიგი მიზეზების გამო ვერ განავითარა წინა წლების ტრადიციები, როცა გეგმიური მოცულობები სტაბილურად სრულდებოდა. შეეცდები ამის გამომწვევი ფაქტორები ავხსნა. წლეულს, როგორც არასოდეს, არარითმულად გვეწოდებოდა ისეთი დეფიციტური ნედლეული, როგორიცაა პოლიეთილენის ნამცეცი, ლითონი, ცემენტი, მათეთრა, მრგვალი მორი და სხვა. ამნ საამქროები, ბუნებრივია, ამოგდო მწყობრი სამუშაო რიტმიდან. ვერ შესრულდა ასორტიმენტის გეგმა. შემკვეთს ვერ მივაწოდეთ 59 ათასი სამშენებლო ბლოკი, ორასლიტრიანი კასრები 500 ცალის რაოდენობით, პოლიეთილენის ფირი და სხვა. აქედან გამომდინარე, დაეცა შრომის ნაყოფიერება. მოგების — გეგმას დააკლდა 109 ათასი მანეთი. დაიძაბა საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა. კოლექტივის მატერიალური დაინტერესების, მობილიზაციის ბერკეტები შესუსტდა.

— როგორ ფიქრობთ შექმნილ მდგომარეობაში გარდატეხის შეტანას და რა გზები გესახებათ სამომავლო პერსპექტივების რეალურად გამოსაკვეთად?

— როცა ნაკლოვანებებზე ვსაუბრობთ, ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების თანაფარდობას, დიდად გვაფერხებს ის გარემოება, რომ დღემდე არ მოხერხდა მართვის სისტემის რადიკალური გარდაქმნა. თვით გაერთიანების სამეურნეო მოდელმა ვერ მოგვიტანა სასურველი შედეგები. ტერიტორიულად დაშორებული საწარმოო ერთეულები ფაქტიურად უმართავი გახდა. ამასთან ისინი მძიმე ტვირთად აწვებიან სათაო კომბინატს, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთ ანგარიშსწორებებს ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოებთან ძირითადად თვითონ აწარმოებს. მართალია მოგვიანებით, მაგრამ ფაქტიურად ახლა ვახორციელებთ ძირეული ქვეგანაყოფებისათვის თვითმმართველობის ფუნქციების მინიჭებას. ეს კი პირველი მოსამზადებელი ეტაპია საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად.

რაც შეეხება პერსპექტივას. საბაზრო ეკონომიკა მთელი სიმკაცრით დააყენებს ჩვენს წინ ადგილობრივი რესურსების უფრო მაქსიმალურად და კომპეტენტურად გამოყენების საჭიროებას. მოგვიწევს წარმოების პროფილირების სრულყოფა. აქ თავს იჩენს დაქვემდებარების საკითხიც. მიგვაჩნია, რომ ქალაქის მმართველობითმა ორგანომ თვითონ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა ფლობდეს საკუთარ წარმოებას. ეს ნიშნავს მათვე ალმოგვიჩინონ ყველა სახის დახმარება: სესხით, საწარმოო სიმძლავრეების მოზიდვით, წარმოების გაფართოებით და ა. შ. ეს ქალაქის ბიუჯეტსაც წაადგება და ჩვენს კოლექტივსაც. საილუსტრაციო მაგალითსაც მოვიყვან. უახლოეს მომავალში ეპირებთ უცემენტო სამშენებლო ბლოკების ტექნოლოგიის ათვისებას. ამ საქმიდან ... ღებული ეფექტიც მრავალსა... ნაა. მნიშვნელოვნად დაკმაყო... ილდება საკუთრივ ჩვენი ... აქის სამშენებლო ორგანიზაციები აღნიშნული პროდუქციით ხოლო მოსახლეობიდან მიღებული შემოსავალი გადანაწილდება ქალაქის ბიუჯეტსა და საწარმოს შორის.

ეს რაც შეეხება ჩვალინდელ დღეს. ამ ეტაპზე კი კოლექტივს მოუწევს არსებული გარღვევების აღმოფხვრა. ამიტომაც გვიდლობთ განვამტკიცოთ საშენებელო დისციპლინა, წამოვწიოთ სუბიექტური ფაქტორები. მაქსიმალურად ... ოქმედოთ შიდა რეზერვები ... ა. შ. ნაცადი კოლექტივი, ... ლია, დღეანდელი ამოცანების ... ლრმა გაგებით ამოქმედდება ... მაქსიმალური მონდომებით ... რძოლებს გეგმიური მოცულობების შესრულებისათვის.

ესაუბრა ზ. ცხონდია

აღვადგინოთ უნიკალური ანსამბლი

ყველა ქალაქს, დიდი იქნება თუ მცირე, აქვს რაღაც განსაკუთრებულად გამორჩეული ფბანი, რომელიც დაკავშირებულია მის ისტორიულ წარსულთან და წარმოადგენს ამ ქალაქის სავიზიტო ბარათს.

ზუგდიდისათვის ასეთი მნიშვნელობისაა მისი ის ნაწილი, სადაც განლაგებულია სამეგრელოს მთავრების, დადიანთა სასახლეები კარის ეკლესიითურთ, ბოტანიკური ბაღი და მისი შემოგარენი, რაც ბუნებისა და ადამიანის ხელით შექმნილი ძეგლების ოსტატურად შეზამთებულ ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს. ამ ანსამბლმა საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე XIX ს. 80-იან წლებში მიიღო. ეს პროცესი კი გაცილებით ადრე დაიწყო, სახელდობრ XVII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.) ზუგდიდში ააშენა ქვითკირის ორსართულიანი სასახლე, რომელიც თავისი მასშტაბურობითა და შესანიშნავი მორთულობით, უცხოელი ელჩებისა და მოგზაურების აღტაცებას იწვევდა. ეს სასახლე XIX ს. 70-იან წლებში სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის (1846-1853 წწ.) მეუღლემ უკატერინე ჭავჭავაძემ განაახლა არქიტექტორ რაისის პროექტით. განახლების შედეგად სასახლეს მიემატა ფლიგელები, მოწყობილ იქნა ფრონტონი და მოპირკეთდა წინა ფასადი. აწინდელი სახე ამ სასახლემ სწორედ ამ დროს მიიღო. მის გვერდით 1830 წ. მთავარმა ლევან IV-მ ააშენა კარის ეკლესია და ვლადიმერ ნის ღვთისმშობლის განთქმული ხატი მარტვილიდან აქ გადმოასვენა. XIX ს. 40-იან წლებში სასახლისა და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დავით დადიანმა გააშენა ბოტანიკური ბაღი. იმავე საუკუნის 80-იან წლებში დავითის მემკვიდრემ, ნიკო დადიანმა ორსართულიანი სასახლე ააშენა. ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა ერთიანი არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სხვა მრავალ კომპონენტს შეიცავდა. როგორი იყო ანსამბლის თავდაპირველი გარეგნული იერსახე და რა ცვლილებები განიცადა მან შემდგომ პერიოდში? ამჟერად განვიხილავ ამ ცვლილებათაგან მხოლოდ ერთს, საუბარი ეხება იმას, რომ სასახლეების წინ მდებარე ტერიტორია თავდაპირველად წარმოადგენდა დადიანთა რეზიდენციის შიდა ეზოს, რომელიც დაფარული იყო მწვანე მოლით და გარს ეკვლო დაბალი გაზონი. ასე რომ, ეზოს ტერიტორიაზე არ იდგა არც ერთი ხე (ამას მოწმობს მუზეუმის ფონდში დაცული ფოტო, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ). ეს, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და აიხსნება კოლხეთში მითაჟამიდან დამკვიდრებული ტრადიციით, რომლის თანახმად სამოსახლო კომპლექსის ერთ-ერთი განუყოფელი ატრიბუტი ვრცელი ეზოც იყო.



სასახლეების წინ მდებარე ეზო თავდაპირველი სახით შენარჩუნებული იყო ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე. საბჭოური ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც დადიანთა ქონება ნაციონალიზებულად გამოცხადდა, ნიკოსეულ სასახლეში, სხვათა შორის, მოთავსებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. სასახლის ეზო ამ ტექნიკუმის საცდელ ნაკვეთად იქცა. შემდგომში იმავე ტერიტორიაზე, უნდა ითქვას, უსისტემოდ გაშენდა სხვადასხვა ჯიშის ხეები, გაუკვანილ იქნა ბილიკები და დაერქვა კულტურისა და დასვენების პარკი. ამით მთლიანად დაირღვა არქიტექტურული ანსამბლის პირვანდელი იერსახე, სასახლეების ხედი დაფარული აღმოჩნდა, რის გამოც ამ დიდებული სანახაობის აღქმა შეუძლებელი გახდა.

აღნიშნულ არქიტექტურულ კომპლექსში ბოლო ათწლეულების მანძილზე სხვა ბევრი გაუმართლებელი ჩარევა მოხდა, რომლის უარყოფითი შედეგებიც თანდათანობით უნდა გამოსწორდეს, მაგრამ ამჟერად მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხი შემოვიფარგლე. ესაა სასახლეების ეზოსათვის პირვანდელი სახის დაბრუნება. საამისოდ კი საჭიროა ამ ტერიტორიიდან ნარგავების გატანა. აქვე აღვნიშნავ, რომ კარგად მესმის, თუ როგორ მტკივნეულად განიცდება შექმნილ ეკოლოგიურ ვითარებაში თუნდაც ერთი ხის მოჭრა, მაგრამ გამოსავალი იმაში უნდა დავინახოთ რომ მოჭრილი ხეების კომპენსაციო მოხდეს ქალაქის სხვა ტერიტორიაზე.

ასეა თუ ისე, უდავოა, რომ კულტურულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულებაში ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ და საამისო გზებიც უნდა გავოვნახოთ. აქ კი გადამწყვეტ მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრს. ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქალაქის ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა, ვთხოვთ, მოგვაწოდოს თავისი მოსაზრება წერილში აღძრული საკითხის შესახებ.

გ. ბარამიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის — ისტორიული მუზეუმის დირექტორი.

გილოცავთ, მეგობრებო!

ჯილდო — ღირსეულთ

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 25 მაისის ბრძანებულებით „ზრდის ვეტერანის“ მედლით ქალაქ ზუგდიდიდან დაჯილდოებული არიან:

ალანია მარო თედორეს ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

ბაბარიკინა მარია იფრემ[illegible] ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

ბერიშვილი ამირან სეფერიანეს ძე — კეთილმოწყობის კომბინატის მძღოლი.

ბუაია ვახტანგ ვარლამის ძე — ტრესტ „საქვაჭრობსპეცმშენის“ მესამე სამშენებლო სარემონტო უბნის მებეტონე.

გარბუზოვა ვერა ალექსანდრეს ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

გელაშვილი ნინა სეროს ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

გულორდავა თინა მაქსიმეს ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

თაკალანძე ენვერ ავთანდილის ძე — კეთილმოწყობის კომბინატის მძღოლი.

კალანდია ვალოდია გრიგოლის ძე — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

კარალიოვა რაისა ალექსანდრეს ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

კიკი ლუბა ვასილეს ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

ლატარია ლევერ ბიბიკოს ძე — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

ლატარია ვარო დიმიტრის ასული — გამწვანების კანტორის მუშა.

ნეჩაევა ვალენტინა ვლადიმირის ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

პაპავა ლილი ერასტოს ასული — გამწვანების კანტორის მუშა.

რაგაჩოვა პაღინა პავლეს ასული — კეთილმოწყობის კომბინატის მუშა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში

მიზანი: მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება

ხახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა მოისმინა საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის“ ხახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ი. წითაშვილის ანგარიში.

ექსპერიმენტის განხორციელება, რომელიც 1988 წელს დავიწყეთ, ითქვა სხდომაზე— ორგანიზატორული და საკონტროლო მუშაობის სრულყოფის, შრომითი კოლექტივის წინაშე მდგარი ამოცანების, მისი როლისა და ეფექტიანობის ამაღლებისკენაა მიმართული.

გაერთიანების სპეციფიკას გათვალისწინებით განსაზღვრულ იქნა და დამტკიცდა ხახალხო კონტროლის კომიტეტის პრიორიტეტული მიმართულებანი 1990 წლამდე. მათი შემუშავებისას ხელმძღვანელობაში იქნა მიღებული შრომითი კოლექტივის ხაბჭოს აზრი და მათთან ერთად მოხდა მიმართულებების კორექტირება, რომელიც მრავალი სახისაა.

ექსპერიმენტის განხორციელებამ კარგი შედეგი გამოიღო. შემცირდა შემოწმებათა რიცხვი. საშუალება მოგვეცა უფრო ღრმად ჩავწვდეთ შესასწავლ საკითხებს, არამარტო გამოვავლინოთ ნაკლოვანებები და დარღვევები, არამედ თავიდან ავიცილოთ, ადგილზე გამოვასწოროთ ისინი. კომიტეტის მუშაობის დაჯაროობის მიზნით პრაქტიკაში დავნერგეთ ისეთი ფორმები, როგორიცაა შესამოწმებელი ობიექტების ხელმძღვანელებისა და მათი კოლექტივის წინასწარი გაფრთხილება.

გასული წლის ივლისში დაგეგმილი გვქონდა შეგვემოწმებინა თუ როგორ მიმდინარეობდა ქაღალდის, ფართომოხმარების, გოფროყუთების, მუყაოსა და ჩაის ქაღალდის წარმოების საამქროებში ყოველწლიურ კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები. ყველაფერი კეთდება ამ უბანზე არსებული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შემოწმების დღისათვის აღნიშნულ ხაამქროებში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა და სხდომაზე საკითხის განხილვა საჭიროდ არ ჩავთვალეთ.

კომიტეტი მუშაობაში იყენებს საჯაროობის ახალ ფორმებს. შემოწმებულ ობიექტებში ტარდება კომიტეტის გამსვლელი სხდომა შრომითი კოლექტივის თანდასწრებით.

გასული წლის სექტემბერში კომიტეტის გამსვლელი სხდომა ჩავატარეთ ერგეტის დამხმარე მეურნეობაში, სადაც განვიხილეთ პროდუქციის წარმოებისა და გემგის შესრულების მდგომარეობა. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

აღნიშნულ მეურნეობაში ცუდი პირობები იყო მატერიალურ ფასეულობათა შენახვაზე. მინერალური სასუქების შენახვისა და მის გამოყენებაში ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ინახებოდა ღია ცისქვეშ. ამის გამო მათი ექსპლოატაციაში ყოფნის ვადები საგრძნობლად მცირდებოდა. ჭიანურდებოდა მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლა.

ამჟამად მეურნეობაში აშენებულია სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესანახად მსუბუქი ტიპის დროებითი სადგომი 25 ერთეულზე. მეურნეობაში დაინერგა როგორც ოჯახური, ისე ბრიგადული ფორმები საარენდო სისტემისათვის.

ხახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად აღმოიფხვრა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, მაგრამ მეტია გასაკეთებელიც.

ხახალხო კონტროლის ზოგიერთი ჯგუფის საქმიანობა ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. ცალკეული ჯგუფები იშვიათად ატარებენ შემოწმებებს და თუ ატარებენ ურიგდებიან ნაკლოვანებას. საამქროებში ინიშვიათი როდია წუნდებული პროდუქციის გამოშვების, შრომის დისციპლინის დარღვევების, მახალებისა და ნედლეულის არარაციონალური ხარჯვის თუ მანქანა-დანადგარების არასწორი ექსპლოატაციის შემთხვევები.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა კვლავ სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებია ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო თუ კომუნალური მომსახურების სფეროში.

საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის“ ხახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება და მუშაობის მკვეთრად გააქტიურება, ყოველმხრივ აამაღლოს საკითხების შესწავლისა და მომზადების, კონტროლის კომიტეტის სხდომის ჩატარების დონე. მიაღწიოს იმას, რომ შემოწმების შედეგად ღრმად ანალიზდებოდეს შემოწმებულ ობიექტებში არსებული მდგომარეობა, ვლინდებოდეს კონკრეტული დამნაშავე, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ისახებოდეს ქმედითი ღონისძიებები.

—გამოიჩინოს მეტი ინიციატივა და შეუპოვრობა შემოწმების შედეგად წამოჭრილი საკითხების დროულად გადაწყვეტის საქმეში, ყველგან და ყველაფერში მტკიცე დისციპლინა და ორგანიზებულობის დასამყარებლად.

—უყოყოყანობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლაში სრულად გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები, მკაცრი პასუხისმგებლობა დააკისროს ამ საქმეში დამნაშავე პირებს.

მკვეთრად გააძლიეროს ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება ერთიანი კონტროლის საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ძირეული რგოლებისადმი, ფართოდ იქნას გამოყენებული ის უპირატესობანი, რაც ხახალხო კონტროლის საზოგადოებრივ ორგანოებს გააჩნიათ ამჟამად კონტროლის ერთიან სისტემაზე გადასვლის შედეგად.

დეფიციტური საქონლით მოვაჭრეები

16 აგვისტოს ხახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკების მიერ საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე ხელზე მოვაჭრე პირებისაგან ამოღებულ იქნა სასპეკულაციოდ გამიზნული იმპორტული წარმოების ტაბილეული—9 ყუთი ნამცხვარი „ლაბისი“, სხვა დასხვა სახის რამდენიმე კოლოფი შოკოლადი, ნამცხვრეული, თურქული ზეთი, საჭმელი სოდა, ჟელატინი, ყავა, დაკონსერვებული სოსისი, რამდენიმე ქილა მაიონეზი, 2 კილოგრამი საფუარი, დაფასოებული შავი პილპილი და მრავალი სხვა დეფიციტური საქონელი, რომელთა მფლობელები მიიმალნენ და მათი ვინაობის დადგენა არ მოხერხდა.

მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შინაგან საქმეთა განყოფილებას.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ითხოვა გამოყოს კომისია ამოღებული საქონლის შეფასებისა და რეალიზაციისათვის, რომელიც მიბარებულია №26 გასტრონომიულ მაღაზიაში.

ირღვევა ვაჭრობის წესები

ქალაქის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ვაჭრობის წესების დაცვის უზრუნველყოფად გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ვაჭრობის სამმართველოსა და სადგურ ზუგდიდის კვების კომბინატის სავაჭრო ორგანიზაციებში კვლავ ადგილი აქვს ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევების, სამუშაო რეჟიმის უგულებელყოფის, მომხმარებელთა ზომა-წონაში და ანგარიშში მოტყუების, დეფიციტური საქონლის გადამალვისა და ფასგამოუცხადებლობის ფაქტებს.

სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მიერ გამოვლენილ იქნა შემდეგი ფაქტები:

ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ცენტრის (დირექტორი ვ. თოფურია) კულტსაქონლის სექციაში (გამგე-გამყიდველი ვ. ჭკადუა) შემოწმებისას გადამალული აღმოჩნდა სამამულო წარმოების ელექტროსაათები და მაგნეტოფონი, გამყიდველი ნ. მოხეაში სამუშაო საათებში ადგილზე არ იმყოფებოდა, ხოლო გამგე-გამყიდველმა ვ. ჭკადუამ მოქალაქე ვ. ხარატიშვილისაგან 8 მანეთისა და 30 კაპიკის ნაცვლად 10 მანეთი აიღო.

საგზაო რესტორანში (დირექტორი შ. ჯეჯელავა), კომბინატის №1 სახაშეში (გამგე ვ. ყურაშვილი, მებუფეტე თ. აბშილავა) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ობიექტებში ადგილი აქვს ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევის ფაქტებს, კერძოდ: ობიექტის სასადილო დარბაზში და სამზარეულოში არადამაკმაყოფილებელია სანიტარული მდგომარეობა, ვიტრინაში არაა გამოფენილი კერძები ასორტიმენტის მიხედვით, არც ერთი სახის პროდუქტზე ფასი არაა გამოცხადებული. სამზარეულოსთან არსებულ საკუჭნაოში ერთად, მაცივრის გარეშე ინახება სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქტები, ნახევარფაბრიკატები, პროდუქციის გასამზადებელი მასალები. შემოწმებისას მებუფეტე თ. აბშილავამ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მუშაკებს 3 მანეთისა და 42 კაპიკის ნაცვლად 7 მანეთი გადახდევინა.

ზემოთაღნიშნული და სხვა ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ დასახელებული სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ვაჭრობის სამმართველოს დირექცია სათანადო ყურადღებას არ უთმობენ დაქვემდებარებულ ობიექტებში ვაჭრობის წესების დაცვას.

ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ცენტრის კულტსაქონლის სექციის გამგე-გამყიდველ ვ. ჭკადუას საქმე გადაეცა პროკურატურას, ხოლო სადგურ ზუგდიდის კვების კომბინატის №1 სახაშეს მებუფეტე თ. აბშილავას საქმე კი ქ. ფოთის სატრანსპორტო პროკურატურას.

მასწავლებელთა დასახმარებლად

საყურადღებო ნაშრომი

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა ამ დღეებში გამოსცა ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ზონალური ინსტიტუტის მათემატიკის კაბინეტის მეთოდისტის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის გიორგი ფიფიას ნაშრომი „ინტერვალთა მეთოდი და მათი გამოყენება საშუალო სკოლის მათემატიკის კურსში“, რომელიც ჯეროვან დახმარებას გაუწევს მათემატიკის მასწავლებლებს ამ საგნის სწავლების უკეთ ორგანიზების საქმეში, ხელს შეუწყობს მათ კლასგარეშე მუშაობის ნაყოფიერად წარმართვაში, აამაღლებს ფაკულტატური მეცადინეობის ხარისხს მათემატიკის გაღრმავებული სწავლების პირობებში.

ნაშრომი ცხრა თავისაგან შედგება, თითოეულ მათგანს დართული აქვს სავარჯიშოები, რომელიც, სასურველია, მასწავლებელმა დავალებად შესთავაზოს აკადემიურად ძლიერ მოსწავლეებს. ნაშრომი იმითაა საყურადღებო, რომ იგი პრაქტიკოსი მასწავლებლის მრავალი წლის ნაყოფიერი და დაკვირვებული ღვაწლის შედეგია. მასში ყველა საკითხი გადაწყვეტილია მარტივად და მისაწვდომად. სასურველად მიგვაჩნია, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მათემატიკის მასწავლებელთა ტრადიციულ სექციურ სხდომაზე მოხდეს ნაშრომის განხილვა ავტორის თანდასწრებით.

წიგნის ავტორი გიორგი ფიფია ჩვენს რაიონსა და ქალაქში, რეპუბლიკაში ცნობილი პედაგოგია. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ახალგაზრდული ეხერგიითა და ცოცხალი გონებით ეკიდება მისთვის საყვარელ საქმეს, ასეთებზე თქმულა: „ბებერი ხარის რქანიცა ხნავენო“...;

კვლავაც დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ ამაგდარ ადამიანს ქვეყნისა და მომავალი თაობის სასიხარულოდ!

მუშნი ხარჩილავა,
მათემატიკოსი, სახალხო განათლების წარჩინებული.

დავით აბსავა,
საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

სიახლე სოფლად

ძალე დაამთავრებენ

სოფელ ოქტომბრის მოსახლეობა 510 კომლს ითვლის. ბუნებრივია, ისინი საჭიროებენ საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ამ საქმეს ემსახურებოდნენ პატარა, სამთვალიან შენობაში მომუშავე ხელოსნები, მაგრამ სახლს აწვიმდა, მისი ექსპლოატაცია შეუძლებელი გახდა. სოფლის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საკოლმეურნეობათშორისო საბჭოს მესვეურებს. აღნიშნული ჯიხური დანგრეულ იქნა. ახლა აქ დაწყებულია ორი ახალი ობიექტის მშენებლობა, რომლებსაც უძღვება ზ. ჯღარკავა. მას გვერდით უდგანან მშენებლები: ვაკონა, გიული და რეზო კვარაცხელიები, კ. დეკანოიძე, თ. მირცხულავა, მ. სვანიძე და სხვები. ისინი პირობას იძლევიან, რომ მშენებლობას ორ თვეში დასრულებენ. სოფელი მიიღებს ახალი რვაწლიანი სკოლისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს.

ა. შაშუგია,
ჩვენი კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოწესრიგდეს

ამ ბოლო დროს ჩვენს ქალაქს ბევრი ახალი ქუჩა შეემატა, ბევრსაც სახელწოდება შეეცვალა.

ეს გარემოება დიდად უშლის ხელს საფოსტო მომსახურებას. ამჟამად მთელ რიგ ქუჩებს არ გააჩნია თანმიმდევრული ნომრები.

საჭიროა მდგომარეობის საჩქაროდ გამოსწორება. ქუჩის კომიტეტებმა, შესაბამისმა სამსახურებმა დროულად უნდა იზრუნონ ბინების მაჩვენებელი ამრების გასაკრავად, ამისათვის უნდა იფიქრონ მოსახლეებმაც.

სხვაგვარად ჩვენი პრეტენზიები საფოსტო გზავნილობათა დროულად მიუღებლობისათვის უსაფუძვლო იქნება.

ბ. ალუბგანია.

გზა დაულოცეს

ქალაქის №25-მა საბავშვო ბაღმა (გამგე ქ. მეუნარგია), არა ერთი გონიერი ცელა მოუმზადა სკოლებს.

წელსაც ბაღმა არაერთი ნიჭიერი ბავშვი გაისტუმრა სკოლაში. №2 საშუალო სკოლის მერხს მიუჯდება ექვსი წლის თათია ქირია, რომელსაც ძალიან იტაცებს პოეზია. მის ლექსებში არის შემოქმედის მარცვალი. ალბათ „ფიფქების“ ნიჭიერ ბავშვთა ლექსებს შორის აეღერდება თათიას ლექსებიც.

ნ. ქოჩუა.

ბავშვური რუბრიკა

ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრაქციის გამგეობისაგან:

1924 წლის 29 აგვისტოს ზუგდიდში ბოლშევიკებმა დახვრიტეს 38 მამულიშვილი, რომელნიც იარაღით ხელში იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. სექტემბრის დამდეგ კი კიდევ რამდენიმე ათეული მამულიშვილი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ამასთან დაკავშირებით, ვთხოვთ ავტომანქანის ყველა მფლობელს და სახელმწიფო ავტომანქანების მძღოლებს: 1924 წლის დახვრეტილი მამულიშვილებისადმი პატივის მისაგებად 29 აგვისტოს 17 საათსა და 50 წუთზე, მთელს ქალაქში ჩართონ ავტოსაყვირები გამუდმებულად 5 წუთის განმავლობაში.

18 საათზე კი თავისუფლების მოედანზე დაიწყება მიტინგი, რომლის დამთავრების შემდეგ გაიმართება მანიფესტაცია-მსვლელობა დახვრეტილ-მამულიშვილთა საძმო საფლავისაკენ.

სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნისადმი მოწიწება და პატივის მიგება ყოველი მამულიშვილის ვალია, და იმედია მიტინგზე მთელი ზუგდიდი შეიკრიბება.

ქ. ზუგდიდში, თავისუფლების მოედანზე გაიხსნა „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სადროშოსთან არსებული სარედაქციო - საგამომცემლო და საშუალავლო-საქველმოქმედო კოოპერატივ —„აიეტის“ საფირმო მაღაზია-სალონი.

დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ შეიძინონ სახელმწიფო და კოოპერაციული გამომცემლობების მიერ დასტამბული სხვადასხვა სახის ლიტერატურა, მათ შორის ჩვენი თანამოქალაქე მწერლების ზაურ კალანდიასა („ზვარაკი“, „ეამი მესამე“) და გური ოტობაიას („სიცოცხლემისჯილი“) რომანები.

ანონსი! ანონსი.

ქ. ზუგდიდის მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

1. გაცნობებთ, რომ ახალ 1990-91 წელს ქ. ზუგდიდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებელში მეცადინეობა დაიწყება 1990 წლის 17 სექტემბერს.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების პირველ კლასებში მიიღებიან 6-7 წლის ბავშვები. საბუთები მიიღება 1990 წლის 15 სექტემბრამდე.

3. მასწავლებელთა კონფერენცია ჩატარდება 1990 წლის 12 სექტემბერს.

საგნობრივი შეთოდგაერთიანებების სხდომები ჩატარდება კონფერენციამდე 5-6-7 სექტემბერს ქ. ზუგდიდის №2 საშუალო სკოლაში, დილის 11 საათიდან. სექციათა მუშაობის გრაფიკი გაიჩნიათ სკოლებს.

4. ქ. ზუგდიდის ვაჭრობის სამმართველომ ქალაქის მაღაზიებში დაიწყო სასკოლო ბაზრობა, რომელიც გაგრძელდება 25 სექტემბრამდე.

ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილება.

მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდება კონცერტი „მე და ჩემი სიმღერა“.

მღერის საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული არტისტი თამრიკო გვერდწითელი.

საესტრადო ანსამბლი „მუსიკა“— პროგრამა მიჰყავს ავტორიუმორისტს ბიძინა მახარაძეს.

თამაშობა ერთგულების ლატარია. დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთები იყიდება ცენტრალური სტადიონის სალაროში.

პროფესიის ხიბლი

კოლექტივი აფასებს

ვაჟა მელიტონის ძე ცქვიტაია იმ უპრეტენზიო ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც უხმაუროდ, ჩუმად აკეთებენ თავიანთ საქმეს. თვითონ გუმანით იგრძნო, იწამა, რომ შრომისა და გულმოდგინების გარეშე არ მოდის წარმატება. ამასთან მუდმივი გარჯა შინაგან, მორალურ კმაყოფილებასაც ანიჭებს ადამიანს.

სხვაზე მეტად მაინც მშენებლის პროფესიამ მიიზიდა. სწორედ ამ განწყობილებამ მიიყვანა №133 მოძრავ-მექანიზირებულ კოლონაში.

მას შემდეგ 15 წელი გავიდა. ამჟამად იგი ერთერთი კვალიფიციური, გამოცდილი მშენებელია. ამ ხნის მანძილზე ქალაქსა და რაიონში არაერთი ობიექტი აღიმართა, რომელთა მშენებლობაში მისი წვლილი წონადია. ეამაყება ეს შრომაში მოუქანცავ კაცს.

იღვწის კეთილსინდისიერად, შესაშური გულმოდგინებით დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის. კოლექტივი აფასებს თავის ღირსეულ წევრს.

3. ცქვიტაიას საქმისადმი სიყვარული, თავდადება, მაღალი საძმრსრულებლო დისციპლინა კეთილსაყოფიერ გავლენას ახდენს თანამოსაქმეებზე.

ვ. სოჩდია.

შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან იტყობინებიან

18 აგვისტოს დაახლოებით დღის ორ საათზე ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში ხულიგნური ქვენაგრძნობის ნიადაგზე ლენინის ქ. 35-ში მცხოვრებმა გოჩა ნოდარის ძე ესებუამ დანით ხელის არეში ჭრილობა მიაყენა ამავე საავადმყოფოს ექიმს გოჩა ნოდარის ძე სორდიას, რის შემდეგაც ესებუა შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ტარდება ზომები ესებუას დაკავებისათვის, საქმეს იძიებს საგამომძიებლო ქვეგანყოფილება.

* * *

27 აგვისტოს 03 საათზე ფოთის ქ. №7 მცხოვრებ ნაჭყებიას სახლიდან დაუდგენელი ბოროტმოქმედების მიერ მოპარულ იქნა ავტომანქანა ვაზ—2106.

* * *

27 აგვისტოს ადრე დილით გაქურდულ იქნა ხე-ტყის მუშათა მომარაგების საწყობი, საიდანაც წაღებულ იქნა 88 ათასი მანეთის საქონელი.

* * *

27 აგვისტოს დილის საათებში დაუდგენელი ბოროტმოქმედების მიერ გაქურდულ იქნა თავისუფლების ქუჩაზე მდებარე საკომისიო მაღაზია „ელეგანტი“, საიდანაც წაღებულ იქნა 50 ათასი მანეთის საქონელი.

* * *

28 აგვისტოს სოფელ კახათში შურისძიების ნიადაგზე ცეცხლის წაკიდებით განადგურებულ იქნა ამავე ხოფლის მცხოვრები არველოდი ფალიას ძე ჯიქიას და აჩიკო გაჯის ძე შამბიას საცხოვრებელი სახლები.

* * *

26 აგვისტოს 05 საათზე ცხაკაიას ჩიხში მცხოვრები მიშა იანის ძე ბუსქანძის ოჯახიდან გატაცებულ იქნა ავტომანქანა ვაზ —2102.

რედაქტორი აკ. შანტურია.

შვილი მაკა, ძმები გვანჯი, ხუხულა, დები რაისა, ბაჩუა, ტატუშა ბალათურიები, რძალი თალიკო. ჭითანავა, სიძეები: დომენტი ღვინჯილია, რაჟდენი სოსელია, გული კვარაცხელია, ზაური ქარდავა, შაოდენი ლოგუა, მეგონა როგავა, თენგიზ ბოროავა, ომან ნოდია, რევაზი ჯიქია, ძმისშვილები გულხარა, ვალერი, ვახტანგი, ნთელა, ია, ირა, თენგიზი, თემური, ინუზა, დისშვილები: ბიჭიკო, ეიულერი, იგორი, ირუზა. ჯამბული, მზისადარი, მამიდაშვილები ნათელა, გული, ეთერი, მაგული, ლერი, ღუდა. ომარი, კუკუშა, ეთერი. ბიძაშვილი ოთარი ჭკადუა, ახლო ნათესავები იუწყებიან

ნუცა ივაკას ასულ ბალათურიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 აგვისტოს. გამოსვენება 30 აგვისტოს ციროვის ქ. 29-დან. დაკრძალვა ახალაბასთუმანში.

მეუღლე ნთელა, შვილები: ნელი. მიმოზა, იზოლდა, ანზორი, ალიკო. ამერანი, ავთანდილი ჯანაშიები. და ვენერა ჩილაჩავა. სიძეები: მურთაზი ჩიქოვანი, რეზო ქვანია, ჯენევრი ქარჩავა, რძლები: ზოია, გულნარა, ნინო. ფატიმა, ლიდა. კლარა. ლამარა. შვილიშვილები: ნანა, მაია. ასმათი. თინიკო. შორენა, პაატა, გიგა, ნანი. ირაკლი. ალიკო. ზურიკო, დათო ჯანაშიები, მაია. სოსო ქვანიები, ზურიკო. კობა ქარჩავები. კახა. დათო ჩიქოვანები, დისშვილები: ეთერი, ლიანა, მურმანი. თეონა, გენადი ქირიები, ლუარა. ლუიზა. თემური ჩილაჩავები. ცოლისდა თალიკო. ცოლისძმები ვალოდია. აბელი. გივი ლომაიები. ქვისლი შოთა შავდია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

აპოლონ გაბრიელის ძე ჯანაშიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 30 31 აგვისტოს. ოკრძალვა 2 სექტემბერს ცაიშში.

ზუგდიდის რაიონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების და მიმღები განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

ეორა სილოვანის ძე ბერიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ვალია, მეუღლე ირა. შვილები: დევიზი. ზვიადი, ზაზა, და ზოია, ძმები: დუნდული, ლესტა რიგვავები, სიძეები: დაზმერი ეხვაია, რადიონი თოდუა, რძლები ირმა, მადონა, გულნარა. დისშვილები: მამუკა. მაია ეხვაიები, ძმისშვილები: ხათუნა, ლაშა, ხუკრი, მამიდა ქიონია, ბიძია ინდიკო კვარაცხელია, ბიცოლები: მარგო, თამარა, მეკარი. ციალა, ცოლისდები: ლიანა. ცუცია, ცოლისძმები: თორნიკე. ომიკო. ემზარი, გია ჩიქოვანები. კუჭიკო გაბუნია, მზახლები ნაზო, იაშა ყორშიები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

გერმანე (ჭეირანი) ილიას ძე რიგვავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 აგვისტს, 1 სექტემბერს. დაკრძალვა 2 სექტემბერს სოფ. ახალკახათში.

ძმა გენადი პაპანდოპულო. რძალი ნათელა ეხვაია შვილებით ნინო და რობერტით იუწყებიან

ვარო (ცვირინი) პილას ასულ ბიგვავა-ხალვაშის გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 აგვისტოს სოფელ ოტობაიაში (გალის რაიონი).

ვალია და ვალიკო ქოჩუები შვილებით იუწყებიან სიძის

შოთა იასონის ძე გეთიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ძეუღლე ჟუნა. შვილები: ლიანა. გელა. ძმა თეოფანე. სიძეები პანტე გოიგოლავა, ვალიკო კალანდია, ოძლები ხელი. ნონა, ცოლისძმა ნაპო კაკულიები, შვილიშვილები ლადო, ლანა, თამარი, ძმისშვილები: ჯემალი, ჯინერი, ჯუმბერი, ჯაბული, რევაზი, ნაირა, ზოია, ჯულიეტა, დალი, დისშვილები: რაძინი, მზია, გულნარა, ნანული, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

იროდი პეტრეს ძე მამფორიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30, 31 აგვისტს. დაკრძალვა 1 სექტემბერს სოფ. ორულში.

დედა შურა, მამა გუდევანი. მეუღლე ია, შვილები ნანა. ზაზა, ნონა, დები: მზეევნარი, მიმოზა. თამარი, ძმა მირიანე. რძალი იზო შელია. სიძეები: ორდენი ფარცვანია. ომედი ფიფია, სოსო ბერულავა, სიდედრი ვალია ფიფია, ვენიკო ეთერია, სიმამრი კაკო, ეთერია. ცოლისდა, ძმები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ლეონტი (ლესტა) გუდევანის ძე წყაროზიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 აგვისტს. 1 სექტემბერს. დაკრძალვა 2 სექტემბერს სოფ. შამგონაში.

დედა ნაზი. მამა იაშა. და თეა. ბებიები: ლუნა. ვალია. ბაბუა პართე. ბიძები: ნუგზარი. ამროზი ბერაძეები. ჯუმბერი. ბონდო ქიუტები. ინდია ვარდანია. ზური ჯაბუა. რადიონი გელენიძე, მამიდა დოდო, ქვათა, დეიდა ნანული, ბიცოლები: ციცი ლაშხია, ნელი კუკავა, ბიძაშვილები ზური. ლია. ბაჩუკი. ზაზა. ნათია. გურამი. ტუდუჩი. ჯამბული. მერი. ვარდო. კატუშა. ეთერი ბერანძეები. დეიდაშვილი ჭილდა ჯაბუა. მამიდაშვილები: შოთა. კიჭო. ხახუტი აბრალავები იუწყებიან

კახა (თამაზი) იაშას ძე ბერანძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 30. 31 აგვისტს. 1 სექტემბერს. დაკრძალვა 2 სექტემბერს სოფ. განმუხურში..

ინდექს 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის— 1-35-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების — 21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-47-09

საქ. სსრ ბეჭდვისა და ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის ტიპოგრაფია, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3835